


# International Journal of Social Sciences

Caucasus International University  
Volume 4, Issue 1

Journal homepage: <http://journal.ciu.edu.ge/>

DOI: <https://doi.org/10.55367/ZUPU9730>



*Conference proceedings – “International Scientific Conference on Innovation and Entrepreneurship” organised by Caucasus International University  
Held on February 9-11, 2024 in Tbilisi and Telavi*

## **Prospects for the Development of Dynamic Competition in Georgia in Terms of the Status of a Candidate Country for the European Union**

Nana Zazadze <sup>1</sup>

PhD in Economics, Associate Professor  
Caucasus International University

Giorgi Rusiashvili <sup>2</sup>

PhD in Economics, Professor  
Caucasus International University

### **A B S T R A C T**

The paper discusses the theoretical foundations of dynamic competition in terms of the opportunities for innovative development at the expense of intellectual property protection and quality management, the benefits of society under the conditions of dynamic competition within the framework of the Nash equilibrium, the financial problems of establishing societies, the study of the dynamics of employment in Georgia during the transition period, the definition of corporatism and brandism, and development perspectives.

The legal framework will also be studied, including the Association Agreement, the candidate statute and the negotiation phase requirements for employers, and the general content of the socially oriented economy of the European Union.

The authors conclude that dynamic competition is being established in Georgia on a large scale, which contradicts the principles of free entrepreneurship, economic "freedom", laissez-faire of Schumpeter, Weber, Hayek and others, and opposes the concept of responsible consumer, and which can be perceived as a form of additional regulation in the conditions of overproduction of the market economy.

In the West, in the Pareto equilibrium, on average, about 80% of GDP comes to only 20% of the population, while 80% of the population creates only about 20% of GDP on average, and the dilemma

---

<sup>1</sup> nana.zazadze@ciu.edu.ge

<sup>2</sup> giorgi.rusiashvili@ciu.edu.ge

of the self-employed becomes more and more relevant in terms of socio-economic development of countries, which the development of nanotechnologies, artificial intelligence (neural networks) and robotics is also increasing.

Also, based on accounting and financial reporting approaches, the principles of recognition of innovation research and development costs in the modern economy will be discussed, indicating the compatibility of their content with dynamic competition and the possibility of the state's potential role in stimulating this area.

In the end, according to the authors' conclusion, only those nations that promote innovative development and which need to be stimulated in conditions of real annual economic growth of up to 4% have a future arising from evolutionary economics perspectives.

---

*Keywords: Intellectual property, Dynamic competition, Corporatism, Brandism, Innovative development.*

# დინამიური კონკურენციის განვითარების პერსპექტივები საქართველოში, ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის ჭრილში

ნანა ზაზაძე

ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი  
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

გიორგი რუსიაშვილი

ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი  
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

## ა ბ ს ტ რ ა ქ ტ ი

ნაშრომში განხილული და შესწავლილია დინამიური კონკურენციის თეორიული საფუძვლები ინოვაციური განვითარების შესაძლებლობების ჭრილში ინტელექტუალური საკუთრების დაცვისა და ხარისხის მართვის ხარჯზე. დინამიური კონკურენციის პირობებში განვიხილავთ საზოგადოების სარგებელს ნემის წონასწორობის ფარგლებში, საზოგადოებების დაფუძნების ფინანსურ პრობლემებს, საქართველოს გარდამავალ პერიოდში დასაქმების დინამიკას და განსვსაზღვრავთ კორპორაციონიზმის და ბრენდიზმის განვითარების პერსპექტივებს.

ნაშრომში ასევე შესწავლილია ასოცირების ხელშეკრულების ლეგალური ბაზა, კანდიდატის სტატუსის და მოლაპარაკების ფაზის მოთხოვნები დამსაქმებელთა მიმართ და ზოგადად, ევროკავშირის სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის შინაარსი.

ავტორები დაასკვნიან, რომ საქართველოში ფართომასშტაბურად მიმდინარეობს დინამიური კონკურენციის დამკვიდრება, რაც შუმპეტერის, ვებერის, ჰაიეკის და სხვების თავისუფალი მეწარმეობის, ეკონომიკური "ფხიანობის", Laissez-faire პრინციპებს ეწინააღმდეგება და პასუხისმგებელი მომხმარებლის კონცეფციას უპირისპირდება, რომელიც საბაზრო ეკონომიკის ჭარბწარმოების პირობებში დამატებითი რეგულირების ფორმად შეიძლება იქნეს აღქმული.

დასავლეთში, მთლიანი შიდა პროდუქტის 80% მოდის მოსახლეობის მხოლოდ 20%-ზე, იმ დროს, როდესაც მოსახლეობის 80% ქმნის მხოლოდ მშპ-ის 20%-ს და თვითდასაქმებულების დილემა სულ უფრო აქტუალური ხდება ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კუთხით, რაც ნანოტექნოლოგიების, ხელოვნური ინტელექტის (ნეიროქსელები) და რობოტიზაციის განვითარებას უფრო მეტად აძლიერებს.

ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშების მიდგომებიდან გამომდინარე, განხილულია ინოვაციის კვლევისა და განვითარების ხარჯების აღიარების პრინციპები

თანამედროვე ეკონომიკაში, რაც მათი შინაარსის დინამიურ კონკურენციასთან თავსებადობაზე მიანიშნებს და სახელმწიფოს ამ სფეროს სტიმულირებაში მონაწილეობის პოტენციური როლის შესაძლებლობაზე მეტყველებს.

და ბოლოს, ავტორთა დასკვნით, მომავალი მხოლოდ იმ ერებს აქვთ, რომლებიც ინოვაციურ განვითარებას უწყობენ ხელს და რის სტიმულირებაც შესაძლებელია 4%-მდე წლიური ეკონომიკური ზრდის პირობებში.

---

*საკვანძო სიტყვები: ინტელექტუალური საკუთრება, დინამიური კონკურენცია, კორპორაციონიზმი, ბრენდიზმი, ინოვაციური განვითარება.*


## 1. შესავალი

ნაშრომის შესავალ ნაწილში განვიხილავთ ინოვაციური ზრდის პერსპექტივებს საქართველოში. კერძოდ, კლასიკური ეკონომიკური რეკომენდაციების თანახმად, თუ ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი წლიურად არ აღემატება 4%-ს, ქვეყანამ უნდა მიმართოს ეკონომიკის მკვეთრ ინოვაციურ განვითარებას, რადგან სხვა შემთხვევაში, მისი ეკონომიკური განვითარება საგრძნობლად ჩამორჩება მოწინავე ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას. ტექნოლოგიური თვალსაზრისით კი, მათი დაწევის შესაძლებლობა სრულიად უპერსპექტივო აღმოჩნდება ახლო, პროგნოზირებად მომავალში (**რუსიაშვილი, 2019**).

ინოვაციურ განვითარებას ადგილი აქვს მაშინ, როცა ერთი და იგივე რესურსის დაბანდებით უფრო მეტი სარგებელი მიიღება, რაც საზოგადოებაში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ზრდას იწვევს (**რუსიაშვილი, 2019**).

მცირე და საშუალო საწარმოები დიდ როლს თამაშობენ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის განვითარებაში (**Brief On Trade Cooperation, 2022**). მათი რაოდენობა ბიზნესის დიდ წილს წარმოადგენს და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ სამუშაო ადგილების შექმნასა და გლობალურ ეკონომიკურ განვითარებაში. მსოფლიო მასშტაბით, მცირე და საშუალო საწარმოები ბიზნესის დაახლოებით 90%-ს წარმოადგენენ და ქმნიან დასაქმების 50%-ზე მეტს (**Amadou Djelo Bah, 2020**). განვითარებად ქვეყნებში, ფორმალური მცირე და საშუალო ბიზნესის წვლილი მშპ-ში 40%-მდეა. იხ. დიაგრამა 1-2 (**მსოფლიო ბანკი, 2018**).

**დიაგრამა 1. ევროკავშირის აღმოსავლეთ ქვეყნების მიმოხილვა და მათი წვლილი მშპ-ში**




წყარო: (Linnea Tokola, 2023).

ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლო ქვეყნებში, მცირე და საშუალო ბიზნესი კერძო საწარმოების 95%-ს შეადგენს, რაც მცირე ბიზნესის დიდ პოტენციალზე მეტყველებს (Linnea Tokola, 2023).

ევროკავშირის სამხრეთის ქვეყნებში, მცირე და საშუალო საწარმოები ქმნიან მთლიანი დასაქმების 30%-ს, რომლის წილი მშპ-ში 40%-ის ფარგლებშია. ეს რიცხვები უფრო მაღალია, როდესაც მათში არაფორმალური მცირე და საშუალო ბიზნესიც შედის.

**დიაგრამა 2 : მს წვლილი მშპ-ში**



წყარო: მცირე და საშუალო ბიზნესის ვებსაიტები (Mohamed Yahya Alabri, 2018)

მსოფლიო ბანკის შეფასებით, 2030 წლისთვის საჭირო იქნება დამატებით 600 მილიონი სამუშაო ადგილის შექმნა მზარდი გლობალური სამუშაო ძალის ასათვისებლად, რაც მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას დიდ პრიორიტეტად აქცევს მსოფლიოს მრავალი ქვეყნისთვის. განვითარებად ბაზრებზე, ფორმალური სამუშაო ადგილების უმეტესობა გენერირდება სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესის მიერ, რომლებიც ქმნიან 10 სამუშაო ადგილიდან მინიმუმ 7-ს. თუმცა მცირე და საშუალო ბიზნესის ზრდის ძირითად პრობლემას წარმოადგენს ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, რაც განვითარებად ქვეყნებში მეწარმეებს ხელს უშლის გაზარდონ თავიანთი ბიზნესი (**მსოფლიო ბანკი, 2019**).

MSME-ები მთლიანი ბიზნესის 95-98%-ს შეადგენენ (**მაასტრიხტის უნივერსიტეტი, ბლოგი, 2023**), რომლებიც ქმნიან მშპ-ს 50%-ს და სამუშაო ადგილების 60-70%-ს (**Linnea Tokola, 2023**). MSME-ები ცნობილია მოქნილობით და ბაზრის მოთხოვნებთან სწრაფი ადაპტაციის უნარით. ეს მოქნილობა მათ საშუალებას აძლევს განახორციელონ ინოვაციები და დანერგონ ახალი პროდუქტები ან სერვისები, რომლებიც აკმაყოფილებენ ადგილობრივ საჭიროებებსა და პრეფერენციებს. თუმცა, მსხვილი საწარმოები ბევრად უფრო მწარმოებლურები არიან, ვიდრე მცირე საწარმოები. სამთავრობო სერვისებში ისინი ნაკლები პროდუქტიულობით გამოირჩევიან, რადგან როგორც ეკონომიკის თეორიიდან ცნობილია, მწარმოებლურობა საწარმოს ზომის პირდაპირპროპორციულია, რადგან საწარმოს ზომის ზრდა იწვევს მწარმოებლურობის ზრდას და პირიქით (**Paul Vandenberg, 2004**), საწარმოს ზომის შემცირება მწარმოებლურობის შემცირებას იწვევს. აქედან გამომდინარე, მსხვილი მასშტაბის საწარმოები უფრო მეტად მწარმოებლურია, ვიდრე მცირე საწარმოები (**Campomanes Castillo, Yosi Oswaldo; Díaz Velaysosa, Christian, 2021**).

მომსახურებაში მწარმოებლურობა უფრო დაბალია, რადგან ისინი ნაკლებად სტანდარტიზებულია, ვიდრე საქონლის წარმოება. მომსახურებაში მიწოდება პირადად ხდება ადამიანების მიერ, სადაც გათვალისწინებული უნდა იქნეს ადამიანური შეცდომა და „დეფექტი“ (**Stéphane Sorbe et al., 2018**). ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ სამთავრობო ორგანიზაციები ხშირად ბიუროკრატიულ პროცედურებს ექვემდებარებიან, რომლებსაც შეუძლიათ გადაწყვეტილების მიღების პროცესის შენელება (**Sectoral Sources of Productivity Growth, 2020**).

თუ შევადარებთ კერძო საწარმოსა და საბიუჯეტო წარმოებას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საბიუჯეტო წარმოებასთან შედარებით, კერძო საწარმო წარმოების თვალსაზრისით, უფრო ეფექტიანია (**Service Sector Productivity, McKinsey Global Institute, 1992**). ერთის მხრივ, ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ კერძო საწარმოების მოტივაცია არის მოგების მიღება, რაც ფოკუსირდება ინოვაციებზე და ხარჯების ეფექტიანობაზე. მოგების ამ სწრაფვას შეუძლია ბიზნესი აიძულოს წახალისოს პროცესების გამარტივება. „Ocam’s razor“-ის



ფილოსოფიური პრინციპის თანახმად, მწარმოებლურობის გაუმჯობესება უნდა მოხდეს საქონლისა და სერვისების მიწოდების უფრო მარტივი და ეფექტიანი გზების ძიებით.

მეორეს მხრივ, კერძო საწარმოები ხშირად უფრო მოქნილები არიან და პასუხობენ ბაზრის მოთხოვნებს. მათ შეუძლიათ სწრაფი შეგუება მომხმარებლის პრეფერენციების ცვლილებებთან, ტექნოლოგიურ წინსვლასა და ბაზრის პირობებთან, რამაც შეიძლება გამოიწვიოს წარმოების უფრო მაღალი ეფექტიანობა.

გარდა ამისა, კერძო საწარმოები ექვემდებარებიან კონკურენციას, რამაც შეიძლება წაახალისოს ისინი მუდმივად გააუმჯობესონ თავიანთი ოპერაციები, რათა ბაზარზე დარჩნენ და დაიკავონ მოწინავე პოზიციები. ამ კონკურენტულმა ზეწოლამ, შეიძლება გამოიწვიოს ინოვაციების დანერგვა და წარმოების ეფექტიანობის ზრდა.

აქვე მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ეფექტიანობის თვალსაზრისით, კერძო საწარმოს თავისი ძლიერი მხარეები გააჩნია. თუმცა არის ისეთი საწარმოები, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან მოითხოვს რეგულირებას იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს საქონლისა და მომსახურების თანაბარი ხელმისაწვდომობა საზოგადოების ყველა წევრისთვის სამართლიანობის და უსაფრთხოების დაცვით.

ამრიგად:

- ევროკავშირის სამეზობლო რეგიონში, მცირე და საშუალო ბიზნესს აქვს პოტენციალი, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ეკონომიკურ ზრდასა და სამუშაო ადგილების შექმნაში.
- მცირე და საშუალო საწარმოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეროვნული ეკონომიკის გლობალურ მოთხოვნებზე გადასვლის პროცესში.
- მცირე და საშუალო ბიზნესის უმეტესობა EAP-ში ფუნქციონირებს ისეთ სექტორებში, რომლებსაც დაბალი დამატებითი ღირებულება გააჩნიათ. ეს შეიძლება იყოს როგორც საბითუმო, ისე საცალო ვაჭრობის საწარმოები. ეს არის ის სექტორები, რომლებსაც ბაზარზე შესვლის დაბალი ბარიერები აქვთ, არ საჭიროებენ კვალიფიციურ მუშახელს და დიდ ინვესტიციას.

მშპ-ში მცირე და საშუალო მეწარმეობის როლი კიდევ უფრო საინტერესოა: მას განსხვავებით "შესაძლებლობის მეწარმეობისგან", ახასიათებს ე.წ. "საჭიროების მეწარმეობა", რომელიც კორპორაციების დამახასიათებელია. მეწარმეობის აუცილებლობის სტიმულირება ხდება ინდივიდების თვითდასაქმებისკენ მოტივაციით და პირადი შემოსავლის გამომუშავების აუცილებლობით. მას აქვს მნიშვნელოვანი სოციალური ღირებულება, თუმცა არ იწვევს ბიზნესის გაფართოებას, არც ეკონომიკურ ზრდას და არც სტაბილურ სოციალურ უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.

ამის საპირისპიროა შესაძლებლობების მეწარმეობა, რომელიც მოტივირებულია ბიზნესში შესაძლებლობების ძიებით და ეფუძნება ახალი იდეების გენერირებას და ცოდნის გაზიარებას. აქედან გამომდინარე, შესაძლებლობათა მეწარმეობა ქმნის ეკონომიკურ ღირებულებას.

- მცირე და საშუალო საწარმოები არა მხოლოდ მდგრადი ეკონომიკური განვითარების ბერკეტია, არამედ მნიშვნელოვანი ფაქტორია ღია საზოგადოებების კონსოლიდაციისთვის. ბიზნესის ხელშემწყობი გარემო და ძლიერი მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორი (საშუალო ფენა), ხელს უშლის ეკონომიკაში რამდენიმე სუბიექტის დომინირებას, რითაც აფერხებს ძალაუფლების კონცენტრაციას ოლიგარქების ხელში, რაც ხელს უშლის ქვეყნის განვითარებას როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით.

- ამრიგად, მცირე და საშუალო ბიზნესს შეუძლია წვლილი შეიტანოს უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც დაკავშირებულია საჯარო სექტორის შემცირებასთან. ისინი წარმოადგენენ სამუშაო ადგილების მნიშვნელოვან წყაროს, განსაკუთრებით მოსახლეობის იმ ნაწილებისთვის, რომლებსაც ყველაზე მეტად აწვებათ ეკონომიკური ტრანსფორმაციის ტვირთი: დაბალი კვალიფიკაციის მქონე მუშახელი, ახალგაზრდები და ქალები.

მიუხედავად ზემოაღნიშნული უპირატესობისა, მსხვილ ფორმებთან შედარებით, მცირე და საშუალო მეწარმეებს, ბიზნესის წამოსაწყებად უჭირთ საწყისი კაპიტალის მოძიება, რადგან მათ ნაკლები შესაძლებლობა აქვთ მიიღონ საბანკო სესხი. ისინი ძირითადად ეყრდნობიან შიდა საოჯახო, ან მეგობრებისა და ახლობლების ფინანსურ სახსრებს.

## 2. მასალები და მეთოდები

### 2.1. ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომზე მუშაობის პროცესში გავეცანით როგორც ემპირიულ, სტატისტიკურ მონაცემებს, ისე თეორიულ მასალას. სტატია ითვალისწინებს მეორადი ანალიტიკური მასალების დამუშავებას, ღია წყაროებზე დაყრდნობით.

თემასთან დაკავშირებული ფუნდამენტური და რელევანტური მასალის მოძიების პროცესში, პირველ რიგში ყურადღება მიექცა წყაროს სანდოობას, შემდგომ მის აღიარებას და ცნობადობას. კვლევის დროს, სამეცნიერო წყაროებზე გადავიტანეთ აქცენტი და თემის გარშემო მიმოვიხილეთ როგორც ქართული, ისე უცხოელი მკვლევრების პუბლიკაციები. აქვე აღვნიშნავთ, რომ წყაროთა მოძიების პროცესში, ვეცნობოდით და ვიზიარებდით შესაბამისი მიმართულების ექსპერტთა რეკომენდაციებს. ყოველი გამოყენებული წყარო და ექსპერტთა რეკომენდაცია მითითებულია როგორც ტექსტში, ასევე ბიბლიოგრაფიაში.



სტატიაზე მუშაობის პირველ ეტაპზე, შესწავლილი და დამუშავებული იქნა მოძიებული ფაქტობრივი მასალა, შემდგომ ეტაპზე კი მოხდა მოპოვებული მონაცემების სიღრმისეული, კომპლექსური ანალიზი, რაც ნაშრომის ბოლოს, დასკვნების სახით ჩამოყალიბდა.

## **2.2. ბიზნესის დაფუძნების თეორიული მოდელები**

შესავალ ნაწილში ვისაუბრეთ იმ უპირატესობებზე, რომელიც მსხვილ ფირმებთან შედარებით, მცირე და საშუალო მეწარმეებს გააჩნიათ. მიუხედავად ამისა, ბიზნესის წამოსაწყებად მათ მაინც უჭირთ საწყისი კაპიტალის მოძიება, რადგან საბანკო სესხის მიღების ნაკლები შესაძლებლობა აქვთ. ისინი ძირითადად ეყრდნობიან შიდა საოჯახო, ან მეგობრებისა და ახლობლების ფინანსურ სახსრებს.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) შეფასებით, განვითარებად ქვეყნებში 65 მილიონ ფირმას, ანუ ფორმალური მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების (MSME) 40%-ს, ყოველწლიურად 5,2 ტრილიონი დოლარის დაუკმაყოფილებელი ფინანსური საჭიროება აქვს, რაც 1,4-ჯერ აღემატება მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების გლობალური დაკრედიტების არსებულ დონეს (მსოფლიო ბანკი, 2022).

გლობალური მასშტაბით, ფინანსური გარღვევის ყველაზე დიდი წილი - 46%, მოდის აღმოსავლეთ აზიასა და წყნარ ოკეანეზე, რომელსაც მოსდევს ლათინური ამერიკა და კარიბის ზღვის აუზი 23%-ით და ევროპა და ცენტრალური აზია 15%-ით (მსოფლიო ბანკი, 2022).

დაფინანსებაში გარღვევის მოცულობა, მნიშვნელოვნად განსხვავდება რეგიონიდან რეგიონამდე. თუ შევადარებთ ლათინურ ამერიკასა და კარიბის ზღვის აუზს ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონებს, დავინახავთ ფინანსური გარღვევის ყველაზე მაღალ წილს პოტენციურ მოთხოვნასთან შედარებით, დაახლოებით 87-88%-ს. ამ რეგიონებში, ფორმალური მცირე და საშუალო ბიზნესის ნახევარს არ აქვს წვდომა ოფიციალურ კრედიტზე. დაფინანსების უფსკრული კიდევ უფრო მზარდია მიკრო და არაფორმალური საწარმოების შემთხვევაში (მსოფლიო ბანკი, 2022).

მსოფლიო ბანკის რეიტინგით, ბიზნესის კეთებით (მსოფლიო ბანკი, Doing Business, 2022) საქართველო მსოფლიოში 2022 წლის მონაცემებით, ბოლოდან მე-7 ადგილზე იყო (იხ. ცხრილი1).

# ცხრილი 1. ბიზნესის კეთების სიმარტივის რეიტინგი



ეკონომიკა	ბიზნესის კეთების სიმარტივე	ჯგუფის მიგნით რეიტინგი	ბიზნესის დაწყება	სამშენებლო ნებართვებთან მუშაობა	ელექტროენერჯის მიღება	ქონების რეგისტრაცია	კრედიტის მიღება	მცირე ინვესტიციების დაცვა	გადასახადების გადახდა	ვაჭრობა საზღვრებს გარეთ	კონტრაქტების აღსრულება	გადახდისუნარიობის გადაწყვეტა
ახალი ზელანდია	1	1	1	7	48	2	1	3	9	63	23	36
სინგაპური	2	2	4	5	19	21	37	3	7	47	1	27
ჰონგ-კონგი, ჩინეთი	3	3	5	1	3	51	37	7	2	29	31	45
დანია	4	4	45	4	21	11	48	28	8	1	14	6
სამხრეთ კორეა	5	5	33	12	2	40	67	25	21	36	2	11
შერთებული შტატები	6	6	55	24	64	39	4	36	25	39	17	2
საქართველო	7	7	2	21	42	5	15	7	14	45	12	64
გაერთიანებული სამეფო	8	8	18	23	8	41	37	7	27	33	34	14

წყარო: <https://archive.doingbusiness.org/en/rankings>

ცხრილიდან ჩანს, რომ რამდენადაც მარტივია საქართველოში კომპანიის დაფუძნება (მაგ, ავსტრიაში 25000 \$-ია საჭირო), იმდენად პრობლემურია რეალურ ცხოვრებაში ამ კომპანიის ფუნქციონირება.

მსჯელობას თუ გავაგრძელებთ მარქსის ცნობილ პოსტულატზე დაყრდნობით -, ფული → საქონელი → ფული 1“, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უფულო კომპანიას არ შეუძლია რაიმეს შექმნა, მათ შორის, ინოვაციური პროდუქტის.

თუ განვიხილავთ ირვინგ ფიშერის ფულის მიმოქცევის კლასიკურ ფორმულას -  $MV = PQ$  (სადაც  $M$  = ფული მიმოქცევაში,  $V$  = ფულის მიმოქცევის სიჩქარე,  $P$  = ფასები,  $Q$  = საქონელი), ვადგენთ, რომ მარცხენა და მარჯვენა მხარეებს შორის ტოლობის შემთხვევაში, მთლიანი შიდა პროდუქტის ( $PQ$ ) ზრდა შეიძლება მოხდეს მხოლოდ საკრედიტო ურთიერთობების არსებობის პირობებში.

ასეთ „უფულო“ ბიზნესს სჭირდება სესხის აღება, რასაც ბანკები არ გასცემენ, რადგან სესხის მისაღებად, ბიზნესს ესაჭიროება საქმიანობის მინიმუმ 3 წლიანი დადებითი საკრედიტო ისტორია.

ეს ყოველივე მეტყველებს იმაზე, რომ კორპორაციონიზმი<sup>3</sup> და ბრენდიზმი<sup>4</sup> მსოფლიო განვითარების პრიორიტეტს წარმოადგენს.

კომპანიის ღირებულება ღია ბაზარზე საბაზრო კაპიტალიზაციით იზომება. მასში იგულისხმება ბაზრის აღქმა ამ კომპანიის სამომავლო პერსპექტივების შესახებ, რადგან ის ასახავს, თუ რისი გადახდა სურთ ინვესტორებს კომპანიის აქციებში. შესაბამისად, საბაზრო კაპიტალიზაცია არის არა კომპანიის ქონების (აქტივების) ფასი, არამედ მთლიანი კომპანიის (როგორც ბრენდი, პოტენციალი და ა.შ.) ფასი, რომელიც ხშირად მნიშვნელოვნად აღემატება კომპანიის ჯამური აქტივების ღირებულებას. კომპანიას საბაზრო ღირებულება აქციების პირველადი განთავსების (IPO) მომენტიდან აქვს. **(რა არის საბაზრო კაპიტალიზაცია?, ჟურნალი „ფორბსი“, 07.06.2022)**

მსხვილი კაპიტალიზაციის მქონე კომპანიებია ის ფირმები, რომელთა საბაზრო ღირებულება 10 მილიარდი დოლარია, ან მეტი. ასეთი მულტინაციონალური კომპანიები ძირითადად კოტირებულია Nasdaq-ზე (ADAM HAYES, 2024). მსოფლიოში ცნობილია NYSE-ის და Nasdaq საფონდო ბირჟები.

ნიუ-იორკის საფონდო ბირჟა, მეტსახელად „დიდი დაფა“ - NYSE, არის აუქციონის ბაზარი, რომელსაც აქვს ჰიბრიდული სავაჭრო მოდელი. სამუშაო პროცესში, ის იყენებს როგორც ადამიანურ რესურსს, სპეციალისტებს (დანიშნული ბაზრის აგენტები), ასევე თანამედროვე

---

<sup>3</sup>კორპორაციონიზმი - ამ ტერმინის პირდაპირი განმარტება არ არსებობს, ამიტომ მას ხშირად აკავშირებენ ტერმინ კორპორატივიზმთან ან კორპორატიზმთან. ჩვენ არ ვიხილავთ ამ კატეგორიას, როგორც პოლიტიკური დოქტრინების ნაწილს (პოლიტიკური იდეოლოგია, რომელიც მხარს უჭერს საზოგადოების ორგანიზებას კორპორატიულ ჯგუფებად), არამედ მას ვიხილავთ როგორც მიმდინარეობას, რაც გარკვეულწილად თავისუფალი მეწარმეობის ანტაგონისტად გვეჩვენება. ადამიანები თანამედროვე პირობებში მისიწრაფვიან არა მცირე საწარმოების შექმნისკენ და ე.წ. ეკონომიკური „ფხიანობის“ გამოვლენისკენ - შუმპეტერის, ვებერის, ფონ ჰაიეკის, ფრიდმენის მიხედვით, არამედ კორპორაციებში (და ასევე სახელმწიფო სტრუქტურებში) დასაქმებისკენ, რაც ნუგზარ სანთელაძის „ეკონომიკური მოდელების“ მიხედვით, რომელიც თავის დროზე სწავლობდა ამ საკითხებს, გვაგონებს იაპონური ეკონომიკური განვითარების მოდელს. დღემდე არსებული „თავისუფალი მეწარმეების“ ჩამოყალიბებისკენ მიმართული დოქტრინა მოძველებულია. ამის საპირისპიროდ, ვფიქრობთ, რომ მომავალი, განსაკუთრებით მცირე ეკონომიკის პირობებში, ე.წ. დინამური კონკურენციის მხარეზეა, რაც ეკონომიკაში მსხვილი კორპორაციების წამყვან როლს უკავშირდება, ერთის მხრივ, მთლიანი შიდა პროდუქტისა და დასაქმების კუთხით, ხოლო მეორეს მხრივ კი, უნდა წაახალისოს სახელმწიფოს როლი უმუშევართა დახმარებაზე.

<sup>4</sup> ბრენდიზმი - ჩვენეული განმარტებით, ეს არის მომხმარებლის ფსიქოლოგიური დამოკიდებულება ბრენდზე, მისი ემოციური კავშირი ბრენდთან, რაც იწვევს მიჯაჭვულობას. ბრენდიზმი მომხმარებლის ქცევის შემადგენელი ნაწილია და არა მწარმოებლის. ეს არის მომხმარებლის სწრაფვა აირჩიოს ბრენდული საქონელი არაბრენდულთან შედარებით.

ტექნოლოგიებს. მიუხედავად იმისა რომ, NYSE-ს ჯერ კიდევ აქვს ულ სტრიტზე სავაჭრო ადგილი, გარიგებების დიდი უმრავლესობა ხდება NYSE-ის მონაცემთა ცენტრში მაჰვაჰში, ნიუ-ჯერსი.

ხოლო Nasdaq არის დილერების ბაზარი, სადაც ბევრი ბაზრის აგენტი არის ერთმანეთთან კონკურენციაში. აქ უფრო მეტი კომპანიაა კოტირებული და ყოველდღიურად უფრო მეტი აქციათა გაყიდვის ოპერაცია ხორციელდება, ვიდრე ნებისმიერ სხვა ამერიკულ აქციათა ბაზარზე.

NASDAQ მთლიანად ელექტრონული ბირჟაა.

იხილეთ მსოფლიოს წამყვანი ათეული კორპორაციის ჩამონათვალი საბაზრო კაპიტალიზაციით 2024 წლის მონაცემებით (**Adam Hayes, 2024**):

1. Apple (AAPL) - \$2,96 ტრილიონი დოლარი
2. Microsoft (MSFT) - \$2,96 ტრილიონი დოლარი
3. Saudi Aramco (2222.SR) - \$2,06 ტრილიონი დოლარი
4. Alphabet (GOOGL/GOOG) - \$1,84 ტრილიონი დოლარი
5. Amazon (AMZN) - \$1.61 ტრილიონი დოლარი
6. NVIDIA (NVDA) - \$1.47 ტრილიონი დოლარი
7. Meta Platforms (META) - \$985,41 მილიარდი დოლარი
8. Berkshire Hathaway (BRK.A/BRK.B) - \$ 798.46 მილიარდი დოლარი
9. Tesla (TSLA) - \$ 674.54 მილიარდი დოლარი
10. Eli Lilly and Company (LLY) - \$ 596.71 მილიარდი დოლარი.

ჩვენს მიერ ჩატარებული გამოთვლებით, საბაზრო კაპიტალიზაცია ყველაზე უკეთ კორელირებს წმინდა შემოსავალთან და აქციის ამონაგების (return) ნორმასთან. კერძოდ, საბაზრო კაპიტალიზაციის კორელაცია ერთობლივ შემოსავალთან, უდრის 0.46 (პირდაპირი და სუსტი კორელაცია). საბაზრო კაპიტალიზაციის კორელაცია წმინდა შემოსავალთან უდრის 0.71 (პირდაპირი და ძლიერი კორელაცია). საბაზრო კაპიტალიზაციის კორელაცია აქციის მთლიან ამონაგებთან 1 წლის დიაპაზონში, უდრის 0.71 (პირდაპირი და ძლიერი კორელაცია).

აქციის შემოსავლიანობის ნორმა არის ინვესტიციის ეფექტურობის საზომი დროის მოცემულ პერიოდში, ჩვეულებრივ, ერთი წლის განმავლობაში. ის გამოითვლება მიმდინარე ფასის გამოკლებით ინვესტიციის ფასიდან პერიოდის დასაწყისში და შემდეგ, ამ რიცხვის გაყოფით პერიოდის დასაწყისში არსებულ ფასზე.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი დაინტერესებულია კომპანიების რეიტინგით, საბაზრო ღირებულებით ან საბაზრო კაპიტალიზაციით, ტოპ კომპანიები შემოსავლების მიხედვით გარკვეულწილად განსხვავდება. ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ ისინი უფრო კაპიტალტევადია და აქვთ დაბალი მოგების მარჟა. ეს ასევე შეიძლება ნიშნავდეს, რომ ისინი უფრო მოწიფული კომპანიები არიან ბოსტონის მატრიცის მიხედვით, შესაბამისად ნაკლები ზრდის პერსპექტივით (cash-cows).

2024 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით, საუკეთესო ხუთეული წლიური შემოსავლების მიხედვით არის (Adam Hayes, 2024):

1. Walmart (WMT) - \$608.79 მილიარდი დოლარი
2. Saudi Aramco (2222.SR) - \$501.65 მილიარდი დოლარი
3. Amazon (AMZN) - \$554.03 მილიარდი დოლარი
4. Sinopec/China Petroleum (600028.SS) - \$473.5 მილიარდი დოლარი
5. PetroChina (601857.SS) - \$435.3 მილიარდი დოლარი

Walmart მსოფლიოში ყველაზე დიდი დამსაქმებელია, 2.1 მილიონზე მეტი მუშაკით.

2024 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით, თანამშრომლების რაოდენობის მიხედვით, მსოფლიოში ტოპ 5 კომპანია არის შემდეგი (Adam Hayes, 2024):

1. Walmart (WMT) - 2,1 მილიონი
2. Amazon (AMZN) - 1,54 მლნ
3. Hon Hai Precision Industry (2317.TW) - 767,062
4. Accenture (ACN) – 733, 000
5. Volkswagen (VOW3.DE) - 675,805

მიუხედავად იმისა, რომ აშშ დომინირებს გლობალურ საფონდო ბაზარზე, კომპანიები მთელს მსოფლიოში უზარმაზარ მასშტაბამდე გაიზარდა.

უმსხვილესი კომპანიები საბაზრო კაპიტალიზაციით თითოეულ კონტინენტზე 2024 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, შემდეგია (Adam Hayes, 2024):


1. ჩრდილოეთ ამერიკა - Apple (AAPL): \$3.0 ტრილიონი დოლარი
2. სამხრეთ ამერიკა - Petrobras (PBR): \$105.0 მილიარდი დოლარი
3. ევროპა - ნოვო ნოროდისკი (NVO): \$478.4 მილიარდი დოლარი
4. აზია - Saudi Aramco (2222.SR): \$2,06 ტრილიონი დოლარი
5. აფრიკა - ნასპერსი (NPN.JO): \$29.3 მილიარდი დოლარი
6. ავსტრალია - BHP Group (BHP): \$155,7 მილიარდი დოლარი

თამაშების თეორიაში, ნეშის წონასწორობა (იხ. დიაგრამა 3) არის გადაწყვეტილების მიღების ყველაზე გავრცელებული გზა არათანამშრომლობითი თამაშის ამოსახსნელად, რომელშიც მონაწილეობს ორი ან მეტი მოთამაშე და რომელშიც მოთამაშეს შეუძლია მიაღწიოს სასურველ შედეგს, თავდაპირველი სტრატეგიიდან გადახრის გარეშე. ნეშის წონასწორობაში, თითოეული მოთამაშის სტრატეგია ოპტიმალურია სხვა მოთამაშეების გადაწყვეტილებების განხილვისას.

1950 წელს მათემატიკოსმა ჯონ ნეშმა დაწერა მოკლე ნაშრომი, რომელმაც სამუდამოდ შეცვალა ეკონომიკური თეორია. მისი ძირითადი იდეა იყო მარტივი, რომ ნებისმიერ კონკურენტულ თამაშში არის წონასწორობა. ნეშის წონასწორობა არის კონკურენტული სტრატეგიების ერთობლიობა, რომლის დროსაც არც ერთ მონაწილეს არ შეუძლია გაზარდოს მოგება თავისი სტრატეგიის შეცვლით, თუ სხვა მონაწილეები არ შეცვლიან თავიანთ სტრატეგიას, ანუ დაიწყებენ თანამშრომლობას და მოტყუვდებიან. თუმცა ვიცით, რომ ადამიანი პიკოეკონომიკის მიხედვით რაციონალურია (ნაკლები სარგებლის ან სიამოვნების მიღება, ნაკლები რისკის ან ნაკლები ტკივილის სანაცვლოდ) და მეორედ არ უშვებს შეცდომას, თუ ამის მიზეზი ინფორმაციის ასიმეტრია არ არის.



**დიაგრამა 3. ნემის წონასწორობა**



წყარო: (რუსიაშვილი, 2019)

ნემის წონასწორობა არის გადაწყვეტილების მიღების ყველაზე გავრცელებული გზა არათანამშრომლობითი თამაშის ამოსახსნელად, რომელშიც მონაწილეობს ორი ან მეტი მოთამაშე და რომელშიც მოთამაშეს შეუძლია მიაღწიოს სასურველ შედეგს თავდაპირველი სტრატეგიიდან გადახრის გარეშე. ნემის წონასწორობაში, თითოეული მოთამაშის სტრატეგია ოპტიმალურია სხვა მოთამაშეების გადაწყვეტილებების განხილვისას.

როდესაც სიტუაცია წონასწორობაშია, მოთამაშეებს არ აქვთ მიზეზი შეცვალონ თავიანთი სტრატეგია. მაგრამ როგორ მივაღწიოთ მას? ბურთისგან განსხვავებით, რომელიც სწრაფად ეშვება გორაკზე და ჩერდება გორაკზე ასვლისას, თამაშის თეორიაში არ არსებობს მარტივი და გასაგები ძალები, რომლებიც მოთამაშეებს ნემის წონასწორობისკენ უბიძგებს. ნემის ტრიგერის სტრატეგიაში (ტრიგერების სტრატეგია (trigger strategy), არაკოოპერატიული თამაშების თეორიაში არის სტრატეგიების კლასი განმეორებით თამაშებში. მოთამაშე, რომელიც იყენებს ტრიგერის სტრატეგიას, თავდაპირველად თანამშრომლობს მოწინააღმდეგესთან, მაგრამ გარკვეული პირობების - ტრიგერის მიღწევის შემდეგ იწყებს მის დასჯას.), თუ კონფლიქტიდან მიღებული მოგება უფრო მეტია, ვიდრე დანაკარგი თანამშრომლობიდან, მაშინ სუბიექტი ყოველთვის აირჩევს ეკონომიკურ ქცევას ნემის მიხედვით და გვახსენდება ქართული ანდაზა - "დღევანდელი კვერცხი გერჩივნოს ხვალინდელ ქათამსო".

ამ აღმოჩენის წყალობით, ჯონ ნემმა 1994 წელს, ეკონომიკაში ნობელის პრემია მიიღო. წონასწორობის კონცეფცია არის უნივერსალური ინსტრუმენტი, რომელიც გვეხმარება გავიგოთ, თუ როგორ მუშაობს სტრატეგიული ქცევა არა მხოლოდ ეკონომიკაში, არამედ ფსიქოლოგიაში, ევოლუციურ ბიოლოგიაში და სხვა სფეროებში. კიდევ ერთი ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკაში, ჩიკაგოს უნივერსიტეტიდან, როჯერ მაიერსონი წერდა: „ეკონომიკაში წონასწორობის კონცეფციის აღმოჩენა ბიოლოგიაში დნმ-ის ორმაგი სპირალის აღმოჩენის მნიშვნელობასთანაა შედარებული“.

ეკონომიკურ თეორიაში, ნემის წონასწორობა ყველგან არის გავრცელებული, მაგრამ კვლევა აჩვენებს, რომ მისი მიღწევა ხშირად შეუძლებელია. თამაშის თეორიაში წონასწორობის მიღწევის ერთი სწორი გზა არ არსებობს. ამიტომ წონასწორობა ვერასოდეს მიიღწევა (მხოლოდ მორალური დილემა შეიძლება არსებობდეს მოთამაშეებს შორის).

თამაშების თეორია უკვე გამოყენებულია თანამედროვე ნაშრომებში, რომლებიც ეხება ინტელექტუალური საკუთრების დაცვას და ინოვაციას.

თემის მიხედვით, თამაშების თეორიას განვმარტავთ შემდეგნაირად:

- რაც უფრო მეტია კონკურენცია, მით უფრო არ თანამშრომლობს ორივე მხარე (- -);
- რაც უფრო მაღალია ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, მით უფრო თანამშრომლობს ორივე მხარე (+ +)

ალტერნატიულად, ნებისმიერი მხარე, რომელიც თანამშრომლობს იცავს საკუთრების უფლებებს (+). ხოლო ის მხარე, რომელიც არ იცავს საკუთრების უფლებებს, არ თანამშრომლობს (-) და შედის კონკურენციაში.

ზოგადად, მიჩნეულია, რომ ეროვნული სახელმწიფოები ხელს უწყობენ ინოვაციის განვითარებას, რისი განხორციელებაც სქემატურად შემდეგი სახით შეიძლება აღიწეროს:

- ინტელექტუალური საკუთრების უფლებების მკაცრი საკანონმდებლო დაცვა, რომ ფირმებს გაუჩნდეთ მოტივაცია შექმნან ინოვაციური პროდუქტი, რაც ამავდროულად უბიძგებს დინამიურ კონკურენციას, ანუ კონკურენციას არა ყველა სუბიექტს შორის, ვისაც ამის სურვილი აქვს, არამედ მათ შორის, ვინც ქმნის ინოვაციურ პროდუქტს და აქვს ამის რესურსული უზრუნველყოფა (რუსიაშვილი, 2019).


ანალოგიურად, განვიხილოთ ქოუზის თეორემა. თეორემა, რომლის მიხედვითაც ინდივიდებსა თუ ჯგუფებს შორის საკუთრების უფლებებზე ვაჭრობა გამოიწვევს ოპტიმალურ და ეფექტურ შედეგს. (იხ. დიაგრამა 4)

ამ მოდელის მიყენებით, კონკურენციის და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მიმართ, შემდეგ დაშვებებს ვაყალიბებთ:

1. ინტელექტუალური საკუთრების დაცვა და მათ შორის ხარისხის კონტროლის გაძლიერება (კორპორაციონიზმის განვითარება), ნაცვლად პასუხისმგებლიანი მომხმარებლის კონცეფციისა, უპირისპირდება შუმპეტერის, ვებერის, ჰაიეკის და სხვების იდეებს, ეწინააღმდეგება თავისუფალი მეწარმეობის, ეკონომიკური "ფხიანობის", Laissez-faire პრინციპებს და იწვევს ყველაფრის რეგლამენტირებას და კონკურენციის შემცირებას (საბჭოთა მიდგომა - „დაშვებულია ის რაც, არ არის აკრძალული“) - პროფესორ რევაზ ბასარიას მიხედვით, სახელმწიფოს როლი არ არის იმის გადაწყვეტა, თუ რომელ კუთხეში რომელი ჯიხური იდგეს, ანდა სამარშრუტო ტაქსების მოძრაობა არეგულიროს;
2. კონკურენციის განვითარება იწვევს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის შემცირებას (კორპორაციონიზმის შემცირება) (დასავლური კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკის მიდგომა - „დაშვებულია ყველაფერი, რაც არ არის აკრძალული“);
3. კონკურენციის და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის გადაკვეთის წერტილი იწვევს საზოგადოებრივი ხარჯის ყველაზე დაბალ აბსოლუტურ დონეს.

გარდა იმისა, რომ ინტელექტუალური საკუთრების დაცვა იწვევს იდეების და ცოდნის ტრანსფერის შეზღუდვას (თუ ორი ვაშლის გაცვლის საფუძველზე ყველა რჩება თითო ვაშლით, ორი იდეის გაცვლის შემდეგ, თითოეულს უკვე ექნება ორი იდეა), ამ შემთხვევაში წარმოიშობა შემდეგი დილემა, რასაც განვსაზღვრავთ როგორც დინამიურ კონკურენციას, ანუ კონკურენციას ინოვაციის (კვლევის და განვითარების) შემძლებ ფირმებს შორის, რაც თავის თავში ატარებს კონკურენციის შემცირების დიდ რისკს და რომელიც საბაზრო ეკონომიკის ჭარბწარმოების პირობებში, დამატებითი რეგულირების ფორმად შეიძლება იქნეს აღქმული.

**დიაგრამა 4. ქოუზის თეორემა**



წყარო: (რუსიაშვილი, 2019)

შესაბამისად, საზოგადოებისთვის ოპტიმალური მდგომარეობა ამ ორი წრფის (კონკურენციის და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის) გადაკვეთის მდებარეობაა, რაც იწვევს ხარჯის (B წერტილი) ყველაზე დაბალ დონეს, ანუ აბსოლუტურ შემცირებას და რაც ოპტიმალურ დონემდე შეამცირებს „კონკურენცია - ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა“ დიალექტიკური წინააღმდეგობის საზოგადოებრივ ხარჯს. ამ დროს, საჭიროა ანტი-მონოპოლიური რეგულირება. საზოგადოებრივი დანახარჯის შესამცირებლად, პარ-პინდელ-პარშმანის თეორიული ინდექსის და ევროკავშირის პრაქტიკული რეკომენდაციების საფუძველზე, მონო/ოლიგოპოლისტი ფირმების, კომპანიების მიერ (თუ ფლობენ ბაზრის 25%-ზე მეტს), უნდა მოხდეს გადასახადის გადახდა თითოეულ ფლობილ ზენორმატიულ წილის პროცენტზე (რუსიაშვილი, 2008).

**ცხრილი 2.** K -ს სიდიდეს და კომპანიებს შორის კორელაცია  $K = 10000 (V2 + 1) / N$

K – ს სიდიდე	კომპანიების მაქსიმალური რაოდენობა (N)	ბაზრის მაქსიმალური წილი (%)			
		1 კომპანია	2 კომპანია	3 კომპანია	4 კომპანია
		უმსხვილესი კომპანიები			
1000	10	<u>31</u>	44	54	63
1800	6	42	60	72	85

3000	4	54	75	95	100
5000	2	70	100	100	100
10000 (შენიშვნა <sup>5</sup> )	1	100	100	100	100

წყარო: (Employment and social analysis, 2023).

ზემოთ მოყვანილი ცხრილი 2-დან ჩანს, რომ:

1 კომპანიისთვის ბაზრის მაქსიმალური წილის ზომა უნდა შეადგენდეს არა უმეტეს 31%-ს, რაც თეორიული პოსტულატია, მაგრამ ახლოსა არის ევროკავშირის პრაქტიკულ რეგულაციებთან, რომელიც განისაზღვრება 25% ოდენობით (**Employment and social analysis, 2023**).

### 3. შედეგების განხილვა და დისკუსია

საქართველოში, ეროვნულ ბაზარს თუ გადავავლებთ თვალს, ვნახავთ, რომ ბევრია ისეთი სეგმენტი, სადაც მხოლოდ 2, ან უკეთეს შემთხვევაში 3-4 კომპანიაა, რაც კონკურენციის ნაკლებობის გამო, აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. მაგ.: ნავთობის სფერო: (ლუკოილი, სოკარი, გალფი, ვისოლი), მობილური კომუნიკაცია (სელფი, სილქნეტი, მაგთი), ინტერნეტ კომუნიკაცია (სილქნეტი, მაგთი), ლუდი (ნატახტარი, ზედაზენი, ყაზბეგი, კასტელი), ძეხვეული (ნიკორა, ვაკე, ლიდერფუდი, შირნჰოფერი), შოკოლადის წარმოება (ბარამბო), რძის პროდუქტების წარმოება (სანტე, სანტინო, სოფლის ნობათი), კვერცხის და ქათმის წარმოება (მუხრანი, კოდა, დილა, ნოზაძე), ლიმონათის წარმოება (ნატახტარი, ყაზბეგი, ზანდუკელი, ზედაზენი) და სხვები (**რუსიაშვილი, 2019**).

პარ-პინდელ-პარშმანის ინდექსის შესაბამისად, უნდა მოხდეს იმ კომპანიების დამატებითი მოგების რეგულირება (ზენორმატიული მოგების დონე), თუ მისი წილი ბაზრის მოცულობაში აღემატება 25% -ს. კერძოდ, თუ ერთი კომპანია ფლობს ბაზრის 25%-ზე მეტს, მაშინ მან უნდა გადაიხადოს ზენორმატიული მოგების გადასახადი.

ჩვენს ადრინდელ სტატიაში მითითებული გვქონდა, რომ ჯინი ინდექსის მეორადი გადანაწილების საშუალებით, გაუმჯობესების მიზნით, გამოსავალი შესაძლოა იყოს კომპანიების საგადასახადო წნეხის ზრდა, რაც დღესდღეობით მშპ-სთან შედარებით,

<sup>5</sup> როდესაც K უდრის 10 000, მაშინ ბაზარზე არის მხოლოდ 1 მონოპოლისტი.

მხოლოდ 21 %-ის დონეზეა, რაც რანის (გაუმჯობესებული ლაფერის) მოდელს შეესაბამება (რუსიაშვილი, 2019).

რა საადრიცხვო პრობლემატიკა უკავშირდება კვლევისა და განვითარების ხარჯებს?

თუ მომავალში ეკონომიკური სარგებელის შემოდინება მოსალოდნელია ბიზნეს სუბიექტში R&D ხარჯების გაწევის შედეგად, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ეს დანახარჯები უნდა განიხილებოდეს როგორც აქტივი და არა ხარჯი. ვინაიდან, ისინი აკმაყოფილებენ აქტივის განმარტებას, რაც დადგენილია როგორც ფასს-ის პრინციპებითა და დებულებით, ასევე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის ბასს-ის ჩარჩოთი.

თანაბრად არსებობს არგუმენტი, რომ შეუძლებელია იმის პროგნოზირება სამომავლოდ მოგვეცემს თუ არა ესა თუ ის პროექტი შემოსავალს. შედეგად, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ბუღალტრებს მოეთხოვებათ დამატებით ინფორმაციის მოძიება, სიტუაციის გარკვევის მიზნით.

განვიხილოთ R&D საერთაშორისოდ აღიარებული განმარტებები:

კვლევა და განვითარება მოიცავს შემოქმედებით და სისტემურ სამუშაოს, რომელიც ხორციელდება სამეცნიერო ან ტექნიკური ცოდნის მარაგის გაზრდისა და გამოყენების მიზნით. კვლევის მაგალითი შეიძლება იყოს ფარმაცევტული ინდუსტრიის კომპანია, რომელიც ახორციელებს საქმიანობას ან ტესტებს, რომლებიც მიზნად ისახავს ახალი ცოდნის მიღებას ახალი ვაქცინის შესაქმნელად. კომპანია იკვლევს უცნობს და, შესაბამისად, ამ ადრეულ ეტაპზე არ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ბიზნეს სუბიექტისთვის.

განვითარება არის კვლევის შედეგების, ან სხვა ცოდნის გამოყენება გეგმაზე ან დიზაინზე, ახალი ან გაუმჯობესებული მასალების, მოწყობილობების, პროდუქტების, პროცესების, სისტემების ან სერვისების წარმოებისთვის, კომერციული წარმოების ან გამოყენების დაწყებამდე. განვითარების მაგალითია - მანქანის მწარმოებელი, რომელიც ახორციელებს წინასწარ შემუშავებული მოდელის დიზაინის წარმოებას, მშენებლობას და ბოლოს, ტესტირებას.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, R&D აღრიცხვა განიხილება ბასს 38-ით, არამატერიალური აქტივები. ბასს 38-ის თანახმად, არამატერიალური აქტივი მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იყოს აღიარებული, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი კრიტერიუმები:



- სავარაუდოა, რომ აქტივიდან მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოედინება ბიზნეს სუბიექტში.
- აქტივის ღირებულება შეიძლება საიმედოდ შეფასდეს.

ზემოაღნიშნული აღიარების კრიტერიუმები საკმაოდ მარტივია, მაგრამ სინამდვილეში შეიძლება ძალიან რთული იყოს შეფასება, დაკმაყოფილებულია თუ არა ეს კრიტერიუმები. იმისათვის, რომ შიდა გენერირებული არამატერიალური სახსრების აღიარება უფრო მკაფიო გახდეს, ბასს 38 R&D პროექტში გამოყოფს კვლევის და განვითარების ფაზას.

**კვლევის ეტაპზე** შეუძლებელია იმის დემონსტრირება, გამოიმუშავებს თუ არა პროდუქტი ან სერვისი რაიმე სავარაუდო სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს. შედეგად, ბასს 38 მიუთითებს, რომ კვლევის ეტაპზე გაწეული ყველა ხარჯი უნდა ჩამოიწეროს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ხარჯი და არ უნდა იქნეს კაპიტალიზებული, როგორც არამატერიალური აქტივი.

**განვითარების ეტაპზე**, ბასს 38-ის მიხედვით, განვითარების შედეგად წარმოქმნილი არამატერიალური აქტივი უნდა იყოს კაპიტალიზებული, თუ ერთეულს შეუძლია დაადასტუროს ყველა შემდეგი კრიტერიუმი.

განვითარების ხარჯების კომპენსირების მიზნით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ბასს სტანდარტი 38) (**IFRS Accounting Standards Navigator, 2024**), აუცილებელია განისაზღვროს კვლევის და განვითარების კრიტერიუმი, რაც ითვალისწინებს ქვემოთ მოცემული ყველა ინდიკატორის ზედმიწევნით დაცვას, რადგან ერთ-ერთის არარსებობა იწვევს კონკრეტული შემთხვევის მთლიანად გაბათილებას:

- მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება არამატერიალური აქტივისგან;
- არამატერიალური აქტივის ღირებულება შეიძლება საიმედოდ შეფასდეს;
- შესაძლებელია არამატერიალური აქტივის დამუშავების ტექნიკური თვალსაზრისით დასრულება და მისი მიზანშეწონილობა (ისე, რომ ის ხელმისაწვდომი იქნება გასაყიდად ან შიდა მიზნებისათვის გამოსაყენებლად);
- არსებობს აქტივის დასრულების და შესაბამისად შემდგომი გაყიდვის ან გამოყენების განზრახვა/მზადყოფნა/სურვილი/შესაძლებლობა/უნარი ორგანიზაციაში;
- არსებობს ან ფართო ბაზარი, ან თუ შიდა გამოყენებისათვისაა - აქტივის სარგებლიანობა (მარგი ქმედება);

- შესაბამისი ადეკვატური ტექნიკური, ფინანსური და სხვა რესურსების არსებობა და გამოყენების ხელმისაწვდომობა არამატერიალური აქტივის დასასრულებლად (<https://www.ifrs.org/issued-standards/list-of-standards/ias-38-intangible-assets/>).

აღსანიშნავია, რომ ყველა ინდიკატორები უნდა ხასიათდებოდეს შემდეგი თვისებებით: მკაფიოდ უნდა იყოს რაოდენობრივად განსაზღვრული, ობიექტურად მიღწევადი სუბიექტის დამოუკიდებელი ძალისხმევით, უნდა წარმოადგენდეს მიზანს და არა საშუალებას, ასევე არ უნდა ხდებოდეს კრიტერიუმის დუბლირება (<https://www.accaglobal.com/middle-east/en/student/exam-support-resources/fundamentals-exams-studyresources/f7/technical-articles/rd.html>).

თუ, რომელიმე აღიარების კრიტერიუმი არ არის დაკმაყოფილებული, მაშინ ხარჯი უნდა გატარდეს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ხოლო თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია, უნდა მოხდეს კაპიტალიზაცია.

მას შემდეგ, რაც განვითარების ხარჯები კაპიტალიზდება, აქტივი უნდა ამორტიზდეს დარიცხვის კონცეფციის შესაბამისად, მისი სასრული ვადის განმავლობაში. ამორტიზაცია უნდა დაიწყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც კომერციული წარმოება დაიწყება (აქედან გამომდინარე, შემოსავალი და ხარჯები შეესაბამება იმ პერიოდს, რომელშიც ის მოხდება).

თითოეული განვითარების პროექტი ხელახლა უნდა განიხილებოდეს ყოველი სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს, რათა დავრწმუნდეთ, რომ აღიარების კრიტერიუმები კვლავ ძალაშია. თუ, კრიტერიუმები აღარ არის დაკმაყოფილებული, მაშინ ადრე კაპიტალიზებული ხარჯები დაუყოვნებლივ უნდა ჩამოიწეროს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სახელმწიფოს მხრიდან დახმარება შეიძლება სწორედ კაპიტალური ხარჯების ამორტიზაციის ჭრილში მოხდეს.

დადგენილი კრიტერიუმების თანახმად, მხოლოდ განვითარების ხარჯები კომპენსირდება (მაგალითად 70%/30% თანაფარდობით, ანუ განვითარების ხარჯის 70% ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ, ხოლო ხარჯის 30% წარმოადგენს კომპანიის სუფთა დანახარჯს, რაც ამავე დროს საგადასახადო მიზნებისთვის მაინც ჩამოიწერება მოგება-ზარალში). ამასთან, კვლევის ხარჯი, რომელიც ამავდროულად ხარჯებში ჩამოსაწერი მუხლია, არ უნდა ექვემდებარებოდეს ანაზღაურებას, რადგან წარმოადგენს ფირმის ე.წ. „ინოვაციურ რისკს“ წინასწარ გაწეული ხარჯის სახით. არის შემთხვევები, როცა ზოგიერთი კვლევის ხარჯი განვითარების საფეხურზე გადასვლის საშუალებას იძლევა. აქედან გამომდინარე, დაუშვებელია სახელმწიფოს მონაწილეობა ამ ეტაპზე.

ყოველივე ამან დამატებით შეიძლება მაქსიმალურად წახალისოს ბიზნესი, რათა მან შექმნას ინოვაცია. ეს განპირობებული იქნება არა მარტო მოგების დონის შენარჩუნება/ზრდის ისედაც არსებული მოტივაციით, არამედ სახელმწიფოს მხრიდან დამატებითი სტიმულებით.

ის, რომ საქართველოს ბიუჯეტს აქვს ამის უნარი, ამას საქართველოს ბიუჯეტის სოციალურად ორიენტირებული სტრუქტურაც მოწმობს, როდესაც მთლიანი ხარჯების დაახლოებით 44% მიმართულია სხვადასხვა სახის შემწეობებზე, სუბსიდიებზე და სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა ხელფასებზე (იხ. ცხრილი 3).

**ცხრილი 3. საქართველოს ბიუჯეტის სოციალურად ორიენტირებული სტრუქტურა**

დასახელება	სულ ჯამი
სულ ჯამი	25,030,420,680.00
ხარჯები	19,120,890,230.00
შრომის ანაზღაურება	2,577,281,374.00
საქონელი და მომსახურება	2,232,047,766.00
პროცენტი	1,540,039,000.00
სუბსიდიები	1,044,923,000.00
გრანტები	1,513,038,200.00
სოციალური უზრუნველყოფა	7,470,410,000.00
სხვა ხარჯები	2,743,150,890.00
არაფინანსური აქტივების ზრდა	4,180,619,450.00
ფინანსური აქტივების ზრდა	305,550,000.00
ვალდებულებების კლება	1,423,361,000.00

**წყარო:** (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2023)

ამ მიზნით საინტერესოა სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების კვარტალური განწერა, სადაც სოციალურ უზრუნველყოფაზე (პოტენციურად უმუშევართა შემწეობაზე) მთლიანი ბიუჯეტის 30% მოდის, რაც კორპორაციონიზმის საქართველოში არაპირდაპირი დადასტურებაა. ასე, რომ ინვესტიციური მდგენელი ბიუჯეტს არ დააზარალებს, პირიქით ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტიმული იქნება (რუსიაშვილი, 2019).

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მიდგომის განხორციელება ქვეყნის საგანმანათლებლო სფეროს ფართომასშტაბიანი მოდერნიზაცია-რეფორმირების გარეშე აზრს მოკლებულია.

სტატიაზე მუშაობის დროს საგანმანათლებლო სფეროს ფართომასშტაბიანი მოდერნიზაცია-რეფორმირების საკითხთან დაკავშირებით გავეცანით შემდეგ სადისკუსიო მოსაზრებას,

ჩატარებული კვლევის შესახებ: საერთაშორისო კვლევების დასკვნით, პოსტ - საბჭოთა ქვეყნებში ახლო მომავალში შეუძლებელი იქნება მსოფლიო მასშტაბის სამაგისტრო პროგრამების განვითარება და ამიტომ მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო ზრუნვის საგანს მხოლოდ საბაკალავრო დონის საგანმანათლებლო საფეხური უნდა წარმოადგენდეს (**Economics Education and Research Consortium, Moscow, Russia**).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქვეყანაში უნდა ხდებოდეს წარმატებული სტუდენტების მსოფლიოში ფართოდ აპრობირებული მეთოდებით წახალისება და სტიმულირება, მაგ.: მაღალი სტიპენდიების და შეღავათების დანიშვნა, საზღვარგარეთის წამყვან უნივერსიტეტებში ინტერნშიპები, ეროვნული ბიზნესის მოწინავე კომპანიებში სტაჟირება, დასაქმების ხელისშეწყობა და სხვ. თუმცა, აღსანიშნავია, რომ უცხოეთში სწავლა-განათლება მიღებული ახაგაზრდები, ხშირად ვერ ნახულობენ თავისი განათლების შესაფერის რელევანტურ სამსახურს საქართველოში, ბაზრის უქონლობის, ან ქვეყნის დაბალი ეკონომიკური ზრდის ტემპიდან გამომდინარე, არსებული მინიმალური ხელფასების გამო და სამუშაოდ ისევ უცხოეთში რჩებიან. აღნიშნული მდგომარეობა ქვეყანაში სწორედ ინოვაციური ეკონომიკური ზრდის აუცილებლობაზე მეტყველებს, რომ არაფერი ვთქვათ ყოველწლიურად უმუშევართა ბაზარს შემატებულ დაახლოებით 30 000 ადამიანზე, რომლებიც სწავლას იწყებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში. მაგალითად, დღესდღეობით ძალზედ დაბალია სტუდენტების და კურსდამთავრებულთა ჩართულობა ბიზნესში. იხილეთ ცხრილები (4,5,6,) (რუსიაშვილი, 2019).

**ცხრილი 4.** 15-24 წლის ახალგაზრდების პროცენტული წილი, რომლებიც არ სწავლობენ, არ არიან დასაქმებულები და არ გადიან ტრენინგებს (NEETs) (%)

სულ	23.4
ქალი	23.7
კაცი	23.1

წყარო: (საქსტატი, 2022)

**ცხრილი 5.** 15-29 წლის ახალგაზრდების პროცენტული წილი, რომლებიც არ სწავლობენ, არ არიან დასაქმებულები და არ გადიან ტრენინგებს (NEETs) (%)

სულ	30.7
ქალი	34.5
კაცი	27.2

წყარო: (საქსტატი, 2022)

**ცხრილი 6.** 20-34 წლის ახალკურსდამთავრებულთა დასაქმების დონე (%)

სულ	48.2
ქალი	44.7
კაცი	52.4

წყარო: (საქსტატი, 2022) <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba>

ქვეყნის ერთ-ერთი მიმზიდველობა გარდამავალ ეტაპზე გამოიხატება ინვესტორებისთვის მისი სიიაფით, როგორც რესურსული, ისე ადამიანური ფაქტორიდან გამომდინარე. თუმცა, ევროკავშირის მიმართულებით მოძრაობა იწვევს სამუშაო ძალის გაძვირებას, რაც უკავშირდება იმას, რომ ადამიანებს უკვე ვეღარ დაავალდებულებ არანორმირებულ სამუშაო საათებს და იმავე ხელფასის პირობებში ვერ ამუშავენ მეტს და ვერ გადაუხდი ნაკლებს. კერძოდ, ლეგალური ბაზა, მათ შორის ასოცირების ხელშეკრულების, კანდიდატის სტატუსის და მოლაპარაკების ფაზის მოთხოვნები დამსაქმებელთა მიმართ მკაცრ მოთხოვნებს აწესებს, რომ არაფერი ვთქვათ ზოგადად ევროკავშირის სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის შინაარსზე.

საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად, ნორმირებული სამუშაო დროის ხანგრძლივობა სრულწლოვანი პირისთვის არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 40 საათს (საქართველოს შრომის კოდექსის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტი). საქართველოს კანონმდებლობა განსხვავებულ წესს ადგენს სპეციფიკური რეჟიმის მქონე საწარმოებისთვის, სადაც ნორმირებული სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 48 საათს. საქართველოს მთავრობა სოციალურ პარტნიორებთან კონსულტაციის შედეგად, განსაზღვრავს სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე დარგების ჩამონათვალს.

16 წლიდან 18 წლამდე არასრულწლოვანის სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 36 საათს და სამუშაო დღის განმავლობაში 6 საათს.

14 წლიდან 16 წლამდე არასრულწლოვანის სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 24 საათს და სამუშაო დღის განმავლობაში 4 საათს.

ზეგანაკვეთურია ისეთი სამუშაო, რომელსაც დასაქმებული ასრულებს ნორმირებული სამუშაო დროის მიღმა. მაგალითად, თუ თქვენ მუშაობთ კვირაში 40 საათს და დამსაქმებელთან შეთანხმებით იმუშავებთ ერთი კვირის განმავლობაში 44 საათი, 4 საათი არის ზეგანაკვეთური და იგი უნდა ანაზღაურდეს გაზრდილი ტარიფით.

ზეგანაკვეთურია ასევე უქმე დღეებში შრომა. მაგალითად, თუ დამსაქმებელი გთხოვთ სამუშაოს შესრულებას საქართველოს შრომის კოდექსის 30-ე მუხლით დადგენილ რომელიმე უქმე დღეს და თქვენ ასეთ სამუშაოს ასრულებთ, ასეთი შრომა არის ზეგანაკვეთური და იგი უნდა ანაზღაურდეს შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, თუ ასეთი შესაძლებლობა არსებობს, დამსაქმებელი ვალდებულია წინასწარ 1 კვირით ადრე შეგატყობინოთ ზეგანაკვეთური სამუშაოს შესახებ (**საქართველოს შრომის კოდექსი, 2010**).

ზეგანაკვეთური შრომა არის ნებაყოფლობითი, გარდა საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი გამონაკლისი ორი შემთხვევისა. დასაქმებული ვალდებულია შეასრულოს ზეგანაკვეთური სამუშაო:

ა) სტიქიური უბედურების თავიდან ასაცილებლად ან/და მისი შედეგების ლიკვიდაციისთვის – ზეგანაკვეთური ანაზღაურების გარეშე;

ბ) საწარმოო ავარიის თავიდან ასაცილებლად ან/და მისი შედეგების ლიკვიდაციისთვის – ზეგანაკვეთური ანაზღაურებით. (საქართველოს შრომის კოდექსის 27-ე მუხლის მე-5 პუნქტი),

თუმცა, შრომის კოდექსი ზუსტად არ განსაზღვრავს რა ტარიფით უნდა ანაზღაურდეს დამსაქმებლის მიერ ზეგანაკვეთური შრომა. ზეგანაკვეთური ანაზღაურების ოდენობაზე მხარეები წინასწარ უნდა შეთანხმდნენ კონკრეტული ტარიფის შრომით ხელშეკრულებაში განსაზღვრით. თუმცა, ზეგანაკვეთური შრომა აუცილებლად უნდა ანაზღაურდეს ჩვეულებრივი საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით. თუ რამდენით იქნება გაზრდილი ოდენობა, ამას თავად მხარეები განსაზღვრავენ. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ამ საკითხზე არ შეთანხმდებიან, ზეგანაკვეთური ანაზღაურების ოდენობას დავის შემთხვევაში, განსაზღვრავს სასამართლო. ამჟამად არსებული სასამართლო პრაქტიკის



თანახმად, ზეგანაკვეთურ ანაზღაურების ტარიფზე კონკრეტული შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, ზეგანაკვეთურის ანაზღაურება, ჩვეულებრივი საათობრივი ტარიფის ორმაგი ოდენობით (200%-ით) განისაზღვრა (საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე №ას-44-2021).

დამსაქმებელთან შეთანხმებით, დასაქმებულს ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების სანაცვლოდ, შეიძლება მიეცეს პროპორციული დამატებითი დასვენების დრო. ასეთი დრო დასაქმებულს უნდა მიეცეს ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებიდან, არაუგვიანეს 4 კვირისა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან.

სამუშაო დღეებს/ცვლებს შორის დასაქმებულს უნდა ჰქონდეს დასვენების დრო, რომლის უწყვეტი ხანგრძლივობაც არ უნდა იყოს 12 საათზე ნაკლები. ამ დასვენების დროის გარდა, დამსაქმებელი ვალდებულია 7 დღიანი პერიოდის განმავლობაში, დასაქმებული უზრუნველყოს უწყვეტი 24 საათიანი დასვენების პერიოდით. ე.ი. დასაქმებულს, შვიდი დღის მანძილზე, ერთი სრული დღე მაინც უნდა ჰქონდეს დასვენებისთვის.

დასვენების დრო არ ითვლება სამუშაო დროში და შესაბამისად, არ ნაზღაურდება. დასვენების დროს წინასწარ დადებული შრომითი ხელშეკრულება არეგულირებს.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის კანონიერ წარმომადგენელს ან მხარდამჭერს უფლება აქვს, დასვენების დღეების გარდა, თვეში ერთხელ ისარგებლოს დამატებითი ანაზღაურებადი დასვენების დღით ან დამსაქმებელს შეუთანხმოს შრომის შინაგანაწესით გათვალისწინებულისგან განსხვავებული სამუშაო დრო (საქართველოს შრომის კოდექსი, 2010).

საქსტატის მონაცემების მიხედვით (იხ. დანართი 2.), დასაქმების და უმუშევრობის მონაცემები საქართველოში ასე გამოიყურება (ათასი კაცი).

**დანართი 2.** დასაქმების და უმუშევრობის მონაცემები საქართველოში (ათასი კაცი).

	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023-I	2023-II	2023-III
სამუშაო ძალა, ათასი კაცი	1675.6	1653.8	1641.4	1605.2	1572.8	1523.7	1533.6	1551.6	1551.1	1594.3	1618.5
დასაქმებული, ათასი კაცი	1308.5	1294.5	1286.9	1296.2	1295.9	1241.8	1217.4	1283.7	1271.9	1327.4	1366.3
უმუშევარი, ათასი კაცი	367.2	359.2	354.5	309	276.9	281.9	316.2	267.9	279.2	266.9	252.2
უმუშევრობის დონე, პროცენტი	21.9	21.7	21.6	19.2	17.6	18.5	20.6	17.3	18	16.7	15

წყარო: (სამუშაო ძალის გამოკვლევა. საქსტატი, 2023)

ამასთან, თუ გადავხედავთ დემოგრაფიულ მაჩვენებლებს, ცხრილის მიხედვით ჩანს, რომ ქალ დასაქმებულთა რაოდენობა ჭარბობს დასაქმებულ კაცთა რაოდენობას (ათასი კაცი) (იხ. დანართი 3.):

**დანართი 3. დემოგრაფიულ მაჩვენებლები 2019-2022 წწ.**

ასაკი	2019			2020			2021			2022		
	ორივე სქესი	კაცი	ქალი	ორივე სქესი	კაცი	ქალი	ორივე სქესი	კაცი	ქალი	ორივე სქესი	კაცი	ქალი
<b>სულ მოსახლეობა</b>	<b>3,720.2</b>	<b>1,790.6</b>	<b>1,929.6</b>	<b>3,722.7</b>	<b>1,793.3</b>	<b>1,929.5</b>	<b>3,708.6</b>	<b>1,783.1</b>	<b>1,925.5</b>	<b>3,712.5</b>	<b>1,781.9</b>	<b>1,930.6</b>
0	49.6	25.7	23.9	47.2	24.5	22.7	46.1	24	22.1	44.2	22.9	21.3
1-4	223.6	115.6	108	213.4	110.2	103.1	203	105.1	98	195.8	101.6	94.2
5-9	258.9	134.6	124.3	264.7	137.6	127.2	270.7	140.5	130.3	277.1	143.4	133.7
10-14	224.7	118.5	106.2	236.7	124.3	112.4	246.1	128.8	117.3	252.6	132	120.6
15-19	205.6	109.1	96.5	205.1	108.8	96.3	204.9	108.5	96.3	207.8	109.9	98
20-24	219.5	115.4	104	217.2	114.8	102.4	212.7	112.1	100.6	210.8	110.3	100.4
25-29	255.8	129.7	126.1	243.2	124.4	118.9	228.6	117.2	111.4	223.6	115.1	108.5
30-34	271	136	135.1	271.7	136.5	135.3	271	135.6	135.5	272.6	136	136.6
35-39	254	126.5	127.6	259.6	129.9	129.7	263.3	131.4	131.9	266.6	132.6	134
40-44	240.5	119.1	121.4	241.3	119.5	121.7	241.3	119.4	121.9	241.7	119.1	122.6
45-49	234.2	115.1	119.1	234.5	115.7	118.8	233.7	115.3	118.4	232.4	114.4	118
50-54	233.1	111.8	121.3	229.7	110.4	119.3	228	109.6	118.4	226.7	109.1	117.5
55-59	260.6	120.8	139.8	255.4	118.5	136.9	246.9	114.5	132.5	238.2	110.7	127.5
60-64	231.8	102.5	129.3	237.9	105.4	132.6	242.8	107.5	135.3	246.8	109.2	137.6
65-69	193.6	80.8	112.8	197	82.1	114.9	200.3	83.4	116.9	204.2	85.1	119.1
70-74	131.5	51.3	80.2	145.5	56.6	88.9	154.7	59.9	94.7	160.5	62	98.5
75-79	100.9	36.1	64.8	87.9	31.4	56.5	80.8	28.7	52.1	82.9	29.4	53.6
80-84	87.6	28.9	58.7	91.2	29.7	61.6	90.5	29	61.6	84.9	26.8	58.1
85+	43.5	13	30.6	43.5	13	30.5	43.1	12.7	30.4	43.2	12.4	30.8

წყარო: (საქსტატი, 2022წ.)

კერძოდ, 2023 წლის დასაწყისის მდგომარეობით (ათას კაცში), მოსახლეობის საშუალო წლიური რიცხოვნობა იყო - 3 712.502.

მათგან 15+ მოსახლეობა 2952.1 (ათასი კაცი), (2942.8 ოფიციალური), სხვაობა 9.3 (ათასი კაცი)

15+ მოსახლეობა: ქალაქი 1685.28 (ათასი კაცი), სოფელი 1266.9 (ათასი კაცი).

**ცხრილი 7.** 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება განათლების მიღწეული დონის მიხედვით, 2022 წლის ბოლოს (%)

დაწყებითი ან საბაზო	10.4
სრული ზოგადი	40.7
პროფესიული	17.8
უმაღლესი	30.5
განათლების გარეშე	0.6
<b>სულ</b>	<b>100</b>

წყარო: (2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერა საქართველოში, 2014)

საქართველოში საკენსიო ასაკი 65 წელია, ქალებს პენსიაზე გასვლა 60 წლიდან შეუძლიათ (ქვეანიშვილი, 2023).

თუ ავიღებთ ეკონომიურად აქტიურ მოსახლეობას (25-60 წელი ქალები და 25-65 კაცები), მაშინ დასაქმებულთა რაოდენობა უნდა იყოს - 1811 ათასი კაცი, ნაცვლად - 1551 ათასისა, 2022 წლის ბოლოს. შესაბამისად, ჩანს, რომ სამუშაო ძალა და უმუშევართა რაოდენობა ხელოვნურად შემცირებულია დაახლოებით - 260 ათასით. ასევე, საქართველოში 9,542 პატიმარი (რამდენი პატიმარია საქართველოს ციხეებში - ახალი სტატისტიკა, 2023) და 118 651 შშმ პირია (შშმ პირთა სტატისტიკა საქართველოში (2015), რაც შეიძლება ამ სხვაობის მიზეზი იყოს ნაწილობრივ. მაგრამ, თუ სიღრმისეულად შევეცდებით პრობლემის არსში გარკვევას, ვნახავთ, რომ ადრე დასაქმებულებში ხელოვნურად შეჰყავდათ ე.წ. თვითდასაქმებულები (ტაქსისტები, გლეხები), რომლებიც არ იღებენ სტაბილურ შემოსავალს და არ შეუძლიათ, მაგალითად, სესხის აღება ბანკში და რეალურად, არიან უმუშევრები.

შრომის ბაზრის სტატისტიკის ახალი მეთოდოლოგია შრომის სტატისტიკოსთა მე-19 საერთაშორისო კონფერენციაზე - „შრომითი საქმიანობის, დასაქმებისა და არასრულად გამოყენებული სამუშაო ძალის სტატისტიკის შესახებ“ იქნა მიღებული. ცვლილებები მიღებულ რეზოლუციას ეყრდნობა. ახალ რეზოლუციაში წარმოდგენილია დასაქმების და უმუშევრობის გამოთვლის ფუნდამენტური ცვლილებები, რომელთაგან ერთ-ერთ უმთავრეს ცვლილებას წარმოადგენს საკუთარი მოხმარებისთვის მომუშავე თვითდასაქმებულთა (პირველ რიგში, სოფლის მეურნეობის სფეროში) სტატუსის მქონე პირთა გამორიცხვა დასაქმებულთა კატეგორიიდან (საქსტატი, 2019).

ამასთან, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეს ცვლილება მისასაღმებელია, რადგან დასაქმებულების რაოდენობის ზრდა გასულ წლებში, ხელოვნურად ხდებოდა. თვითდასაქმებულების და რეალურად ე.წ. „ნინძების“ (NJNA – No Job, No Asset) ხარჯზე. ამის საფუძველს ისიც გვაძლევს, რომ 2020 წლის პანდემიის დროინდელ პუბლიკაციაში გვხვდება ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მთავრობა გეგმავს დაეხმაროს იმ მოქალაქეებს, რომლებმაც კორონავირუსის გამო შექმნილ ვითარებაში დაკარგეს სამსახური ან უხელფასო შვებულებაში გაუშვეს და ამ მიზნით, ჯამურად 460 მლნ ლარია გათვალისწინებული. დახმარებით სარგებლობას შეძლებს დაახლოებით, 350 ათასი ადამიანი. ეს კი ქვეყანაში ოფიციალური მონაცემებით, დაქირავებით დასაქმებული ადამიანების თითქმის ნახევარია.

კერძოდ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2019 წლის მონაცემებით, საქართველოში ჯამში დასაქმებულია - 1 690 200 ადამიანი; აქედან, დაქირავებით დასაქმებულია - 849 300; ხოლო თვითდასაქმებული - 840 400 ადამიანი“ (BPN, არდოტელი, 2020).

იქვე ვკითხულობთ, რომ „გარდა ოფიციალურად დასაქმებული ადამიანებისა, მთავრობა არაფორმალურ სექტორში მომუშავეებს ან თვითდასაქმებულებს დაეხმარება იმ შემთხვევაში, თუ ისინი დაასაბუთებენ, რომ ამ პერიოდის განმავლობაში დაკარგეს შემოსავალი. ამ ადამიანებს სახელმწიფო ერთჯერადად 300 ლარის ოდენობით დაეხმარება, რისთვისაც დაახლოებით 75 მლნ ლარია გათვალისწინებული. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოს ამ შემთხვევაში, დაახლოებით 250 ათასი არაფორმალურ სექტორში მომუშავე ან თვითდასაქმებული ადამიანის დახმარება შეეძლება“ (არდოტელი, 2020).

ეს 250 ათასი სწორედ ის 250 ათასია, რომლითაც შემცირებულია სამუშაო ძალა და გაზრდილია სამუშაო ძალის გარეთ მყოფი მოსახლეობა და ასევე შემცირებულია დღეს თვითდასაქმებულთა რაოდენობა (გარდა სოფლის მეურნეობის სფეროში თვითდასაქმებულთა).

კერძოდ, 2022 წლის ბოლოს სამუშაო ძალა - 1811 ათასი კაცია (25-65; 25-60) ნაცვლად - 1554.74 ათასი კაცისა - სხვაობა (სამუშაო ძალა) შემცირებულია 256.3 ათასი კაცით. სამუშაო ძალა: ქალაქი 923.70 (ათასი კაცი), სოფელი 631.06 (ათასი კაცი).

**ცხრილი 7.** 2022 წლის ბოლოს სამუშაო ძალის განაწილება, განათლების მიღწეული დონის მიხედვით (%)

დაწყებითი ან საბაზო	4.4
სრული ზოგადი	38.2
პროფესიული	18
უმაღლესი	39.3
განათლების გარეშე	0.1
<b>სულ</b>	<b>100</b>

**წყარო:** (საქსტატი, 2022)

მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ, 2022 წლის ბოლოს 1397.38 (ათასი კაცი) (ოფიციალური 1131.9) - სხვაობა, მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ გაზრდილია 265.48 (ათასი კაცი)

მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ: ქალაქი - 761.60 (ათასი კაცი), სოფელი - 635.8 (ათასი კაცი).

მათგან დასაქმებული - 1305.20 (ათასი კაცი),

**დასაქმებული:** ქალაქი - 772.20 (ათასი კაცი),

სოფელი - 533.0 (ათასი კაცი).

**ცხრილი 8.** 2022 წლის ბოლოს სამუშაო ძალის გარეთ მყოფი მოსახლეობის განაწილება განათლების მიღწეული დონის მიხედვით (%)

დაწყებითი ან საბაზო	16.9
სრული ზოგადი	43.3
პროფესიული	17.6
უმაღლესი	21
განათლების გარეშე	1.2
<b>სულ</b>	<b>100</b>

წყარო: (საქსტატი, 2022)

**ცხრილი 9.** 2022 წლის ბოლოს დასაქმებულთა განაწილება საკუთრების ფორმების მიხედვით

	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016*	2017	2018	2019	2020	2021	2022
<b>სულ</b>	1,577.3	1,597.3	1,611.0	1,167.6	1,183.0	1,212.2	1,197.8	1,255.0	1,308.5	1,294.5	1,286.9	1,296.2	1,295.9	1,241.8	1,217.4	1,283.7
სახელმწიფო	321.3	295.4	310.5	302.4	280.6	287	252.1	258.8	286.6	271.9	283.8	299.8	299.7	294.7	301.5	308
არასახელმწიფო	1,256.1	1,301.8	1,300.5	865.2	902.4	925.2	945.7	996.1	1,021.9	1,022.6	1,003.1	996.4	996.2	947.1	916.0	975.7

წყარო: (საქსტატი, 2022)\*

\*2016 წლის ჩათვლით შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა, 2017 წლიდან - სამუშაო ძალის გამოკვლევა. 2010-2019 წლების მონაცემები გადაანგარიშებულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) მიერ შრომის სტატისტიკოსთა მე-19 და მე-20 საერთაშორისო კონფერენციებზე მიღებული სტანდარტების მიხედვით; 2007-2009 წლების მონაცემები შეესაბამება შრომის სტატისტიკოსთა მე-13 საერთაშორისო კონფერენციაზე მიღებულ სტანდარტებს.

დასაქმებულთა განაწილება საკუთრების ფორმების მიხედვით 2022 წლის ბოლოს

სულ 1283.71 (ათასი კაცი)

სახელმწიფო - 307.99 (ათასი კაცი), არასახელმწიფო - 975.72 (ათასი კაცი)

**ცხრილი 10.** დასაქმებულთა განაწილება სამუშაოზე დაკავებული პოზიციების მიხედვით (ISCO-08 კლასიფიკაცია) 2022 წლის ბოლოს (ათასი კაცი).

<b>სულ</b>	<b>1283.7</b>
მენეჯერები	76.4
სპეციალისტი-პროფესიონალები	225.1
ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები	129.3
ოფისის დამხმარე პერსონალი	58.6
მომსახურებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირები	224
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის კვალიფიციური მუშაკები	203.9
ხელოსნები და მონათესავე სფეროების მუშები	140.5
დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორები და ამწყობები	97.8
არაკვალიფიციური მუშაკები	117.2
სხვა	11

**წყარო:** (საქსტატი, 2022)

**ცხრილი 11.** დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეების (Nace rev. 2) მიხედვით\* 2022 წლის ბოლოს (ათასი კაცი).

<b>სულ</b>	<b>1,283.70</b>
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	229.2
მრეწველობა	152.4
მშენებლობა	108.6
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	192.7
ტრანსპორტი და დასაწყობება	80.5
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	42.6
ინფორმაცია და კომუნიკაცია	15.3
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	29.4
უმრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	3.4
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	22.6
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	23
სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება	91.6
განათლება	149.9
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	69.9
ხელოვნება, გართობა და დასვენება	31.3
სხვა სახის მომსახურება	22.4
შინამეურნეობების, როგორც დამკირავებლის, საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება	17
შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის	
ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები	1.5
არაიდენტიფიცირებული	0.3

**წყარო:** (საქსტატი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით: 2016-2022)



**ცხრილი 12.** დასაქმებულთა განაწილება განათლების მიღწეული დონის მიხედვით (%) 2022 წლის ბოლოს.

დაწყებითი ან საბაზო	3.9
სრული ზოგადი	35.9
პროფესიული	18.8
უმაღლესი	41.4
განათლების გარეშე	0.1
<b>სულ</b>	<b>100</b>

**წყარო:** (საქსტატი, 2022)

მათ შორის დაქირავებული - 884.06 (ათასი კაცი)

დაქირავებული: ქალაქი - 604.18 (ათასი კაცი), სოფელი - 279.9 (ათასი კაცი),  
თვითდასაქმებული: 420.4 (ათასი კაცი)

თვითდასაქმებული: ქალაქი - 167.92 (ათასი კაცი), სოფელი - 252.5 (ათასი კაცი)

დაუსაქმებელი მოსახლეობის რიცხოვნობა, რომლებიც აწარმოებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციას ძირითადად საკუთარი მოხმარებისთვის, 2022 წლის ბოლოს იყო - 401.8 (ათასი კაცი) (საქსტატი, 2023).

**სოფელი 31.61%, (იხ. ცხრილი 13.):**

**ცხრილი 13.** არაფორმალურად დასაქმებულთა წილი არასასოფლო-სამეურნეო სფეროს დასაქმებულებში

არასრულად გამოყენებული სამუშაო ძალის მაჩვენებლები (%)	
	2022
უმუშევრობის დონე	17.3
არასრული დასაქმების* და უმუშევრობის კომბინირებული დონე	18.1
უმუშევრობისა და პოტენციური სამუშაო ძალის კომბინირებული დონე	34.7
არასრულად გამოყენებული სამუშაო ძალის დონე	35.3

**წყარო:** (საქსტატი, 2023)

**ცხრილი 14.** დასაქმებულთა განაწილება დასაქმების სტატუსის მიხედვით 2022 წლის ბოლო (ათასი კაცი)

<b>დასაქმებული, სულ</b>	<b>1,283.70</b>
დაქირავებული	870.9
დამქირავებელი	39.8
დამოუკიდებელი მუშაკი	289.2
ოჯახურ საწარმოში/მეურნეობაში დამხმარე	83
სხვა	0.1
არაიდენტიფიცირებული	0.8

**წყარო:**(საქსტატი, 2023)

გაურკვეველი - 0.7 (ათასი კაცი)

გაურკვეველი: ქალაქი - 0.10 (ათასი კაცი), სოფელი - 0.63 (ათასი კაცი);

უმუშევარი: 249.5 (ათასი კაცი);

უმუშევარი: ქალაქი - 151.50 (ათასი კაცი), სოფელი - 98.06 (ათასი კაცი);

**ცხრილი 15.** უმუშევართა განაწილება განათლების მიღწეული დონის მიხედვით, 2022 წლის ბოლოს (%),

დაწყებითი ან საბაზო	6.8
სრული ზოგადი	49.5
პროფესიული	14.2
უმაღლესი	29.4
განათლების გარეშე	0.1
<b>სულ</b>	<b>100</b>

**წყარო:** (საქსტატი, 2022)

მათ, შორის ხანგრძლივი დროით უმუშევრები - 103.2 (ათასი კაცი).

როგორც ვხედავთ, 2022 წლის ბოლოს დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენდა 1,283.7 ათას ადამიანს, მაგრამ თუ სტრუქტურულად გადავხედავთ ამ მონაცემებს, მაშინ ვნახავთ, რომ ეს სამუშაო ძალის (1811 ათასი კაცი) მხოლოდ 70%-ს შეადგენს, რაც მათ შორის გამოწვეულია იმით, რომ დაბალია მუშა-ხელის დასაქმება კერძო სექტორში, მცირე და საშუალო საწარმოებში და მაღალია კორპორაციონიზმი და საჯარო სამსახურის წილი შრომის

ბაზარზე (25%-მდე დასაქმებულების რიცხვიდან), რაც ვერ აკმაყოფილებს სამუშაო ძალის სრულად დასაქმების მოთხოვნებს მოსახლეობაში.

ასევე დაქირავებული წარმოადგენს დაახლოებით 871-884 ათას კაცს, ხოლო დანარჩენ თვითდასაქმებულში (412-420 ათასი კაცი) კი 10% მოდის დამქირავებელზე, 70% - დამოუკიდებელ მუშაკზე და 20% მოდის ოჯახურ საწარმოში/მეურნეობაში დამხმარე პერსონალზე.

მენეჯერებსა და სპეციალისტ-პროფესიონალებზე მოდის დასაქმებულთა 24%, ხოლო ეკონომიკურ საქმიანობებში დაკავებულებზე მოდის დასაქმებულთა 34%. ასევე მნიშვნელობა აქვს მიღებული განათლების დონეს, უმაღლესი და პროფესიული განათლების მქონე პირები უფრო საქმდებიან (88% და 87%), ვიდრე სრული ზოგადი ან დაწყებითი/საბაზო განათლების მქონენი (79% და 75%).

#### 4. დასკვნა

ნაშრომში შევეცადეთ შეგვესწავლა დინამიური კონკურენციის თეორიული საფუძვლები, განსაკუთრებით ყურადღება გავამახვილეთ მის გავლენაზე - ინოვაციაზე, ინტელექტუალური საკუთრების დაცვასა და ხარისხის მენეჯმენტზე. ნაშრომში გამოვიკვლიეთ ნეშის წონასწორობის ფარგლებში არსებული სოციალური სარგებელი, საზოგადოებების ჩამოყალიბების ფინანსური გამოწვევები და გავაანალიზეთ, როგორია დასაქმების დინამიკა საქართველოში გარდამავალ ეტაპზე.

გარდა ამისა, კვლევა მოიცავს ისეთ ცნებებს, როგორცაა კორპორაციონიზმი, ბრენდიზმი და იკვლევს ლეგალური ასპექტებს, როგორცაა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების მოთხოვნები და ევროკავშირის სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკა კანდიდატი ქვეყნის სტატუსის ჭრილში. აქვე გვაქვს განხილული და ჩვენი ვერსიით განმარტებული ცნებები კორპორაციონიზმი და ბრენდიზმი.

ამის საპირისპიროდ, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ საქართველოს მიერ დინამიური კონკურენციის ექსპანსიური მიღება ეწინააღმდეგება თავისუფალი მეწარმეობისა და ეკონომიკური თავისუფლების ფუნდამენტურ პრინციპებს, რაც წააგავს მარეგულირებელ მიდგომას ბაზრის ჭარბი წარმოების პირობებში და რაც მიზეზია ფართომასშტაბიანი უმუშევრობის, რაც 30%-ს აღწევს, ხოლო სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა ჩათვლით კი 50%-ს.

ჩვენ ასევე ხაზს ვუსვამთ გლობალურ უთანასწორობას და აღვნიშნავთ, რომ დასავლეთში მშპ-ს მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოიქმნება მოსახლეობის უმცირესობის მიერ, რაც

ამლიერებს შეშფოთებას თვითდასაქმების შესახებ ისეთი ტექნოლოგიური მიღწევების ფონზე, როგორცაა ნანოტექნოლოგია და ხელოვნური ინტელექტი (მანქანათსწავლება).

ნაშრომი ასევე აფასებს საინოვაციო ხარჯების აღიარების თანამედროვე აღრიცხვის მეთოდებს, რაც ხაზს უსვამს სახელმწიფოს როლს ინოვაციების ხელშეწყობაში.

საბოლოოდ, ჩვენი აზრით, ქვეყნები, რომლებიც პრიორიტეტს ანიჭებენ ინოვაციას, განსაკუთრებით ისეთ პირობებში, სადაც მიზნად უნდა დავისახოთ მინიმუმ 4%-იანი წლიური რეალური ეკონომიკური ზრდა, მზად არიან მდგრადი განვითარებისთვის ევოლუციური ეკონომიკის პირობებში.

## ბიბლიოგრაფია

1. არდოტელი, თ. (2020). რამდენი დასაქმებული და თვითდასაქმებული გვყავს და რამდენს დაეხმარება მთავრობა. BusinessPressNews (BPN), ფინანსები. <https://www.bpn.ge/article/68404-ramdeni-dasakmebuli-da-tvitdasakmebuli-gvqvavs>
2. იცოდე შენი უფლებები. ღირსეული შრომის პლატფორმა <https://shroma.ge/rights/working-hours/>
3. დასაქმება და უმუშევრობა. (2023). საქსტატი. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevropa>
4. დასაქმება - უმუშევრობის მეთოდოლოგიის ცვლილება. (2019). საქსტატი. <https://www.geostat.ge/ka/single-news/2081/dasakmeba-umushevrobis-metodologiis-tsvlileba>
5. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით: 2016-2022. DataLab, მონაცემთა ბაზა. [https://datalab.ge/ge/dataview/v/361/?ret\\_id=360](https://datalab.ge/ge/dataview/v/361/?ret_id=360)
6. რა არის საბაზრო კაპიტალიზაცია?. Forbes Georgia. (2022). <https://forbes.ge/ra-aris-sabazro-kapitalizatsia/>
7. რამდენი პატიმარია საქართველოს ციხეებში - ახალი სტატისტიკა. (2023). Sputnik საქართველო. <https://sputnik-georgia.com/20230205/ramdeni-patimaria-saqartvelos-cixeebsi-axali-statistika-274576787.html>
8. რუსიაშვილი, გ. (2019). კაპიტალისტური ურთიერთობების ტრანსფორმაციის საკითხისათვის – ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა საქართველოში. გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში. თსუ, შრომების კრებული. 335-342. [https://www.tsu.ge/data/file\\_db/economist\\_faculty/konf%20IV.pdf](https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf%20IV.pdf)
9. რუსიაშვილი, გ. (2008). Social – economic consequences of Intellectual property rights protection & competition law; HESP RESET Publications; Odessa
10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე №ას-44-2021
11. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №241. (2009) <https://www.khobi.ge/files/files/kanonebi%202014-nov/107.pdf>
12. საქართველოს შრომის კოდექსი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567?publication=26>
13. საწარმოთა საქმიანობის შედეგები, I კვარტალი. (2019). საქსტატი. <https://www.geostat.ge/media/24163/sacarmota-saqmianobis-shedegebi-04-06-2019-geo.pdf>
14. ქევანიშვილი, ე. (2023). გათანაბრდება ქალების და კაცების საპენსიო ასაკი საქართველოში? - ბუდუ შეყილაძე პარლამენტის წინააღმდეგ. რადიო თავისუფლება, საზოგადოება. <https://www.radiotavisupleba.ge/a/>
15. ყურაშვილი, ლ. (2023) საქართველოს შრომის ბაზარზე ახალგაზრდების უმუშევრობის დონე. მონაცემები ცვლილებებისთვის. სტატია [https://idfi.ge/ge/the\\_youth\\_unemployment\\_rate\\_in\\_georgia\\_s\\_labor\\_market](https://idfi.ge/ge/the_youth_unemployment_rate_in_georgia_s_labor_market)
16. შშმ პირთა სტატისტიკა საქართველოში. (2015). ეკონომიკა და სოციალური პოლიტიკა. IDFI. <https://idfi.ge/ge/statistics-of-persons-with-disabilities>
17. 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერა საქართველოში. (2014). Unfpa საქართველო. [https://georgia.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/full%20calendar\\_geo\\_0.pdf](https://georgia.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/full%20calendar_geo_0.pdf)

18. 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი. საქართველოს 2024 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლების და ფინანსური აქტივების კლების და საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერა. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 29 დეკემბრის N518 ბრძანება "საქართველოს 2024 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლების და ფინანსური აქტივების კლების და საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის დამტკიცების თაობაზე". საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. <https://mof.ge/5699>
19. Ease of Doing Business rankings. (2019). The World Bank. <https://archive.doingbusiness.org/en/rankings>
20. El-Aroui, M. -A. (2021). The Dilemma of Intellectual Property Agreements and R&D in Developing Economies: A Game Theory Approach. Journal of Quantitative Economics. Volume 19, pages 427–450. Doi: 10.1007/s40953-021-00243-1. <https://link.springer.com/article/10.1007/s40953-021-00243-1>
21. Employment, Social Affairs & Inclusion. (2023). European Commission. <https://ec.europa.eu/social/main.jsp?catId=113>
22. Gratton, P. (2024). What Is the Stock Market and How Does It Work? Investopedia. [The NYSE and Nasdaq: How They Work \(investopedia.com\)](https://www.investopedia.com/terms/n/nasdaq.asp)
23. Hayes, A. (2024). Biggest Companies in the World by Market Cap. Investopedia. [Biggest Companies in the World by Market Cap \(investopedia.com\)](https://www.investopedia.com/terms/b/biggest-companies-in-the-world-by-market-cap.asp)
24. IAS 38 Intangible Assets. (2023). IFRS Accounting Standards Navigator. <https://www.ifrs.org/issued-standards/list-of-standards/ias-38-intangible-assets/>
25. McKinsey Global Institute. (1992). Washington. [https://www.mckinsey.com/~media/mckinsey/business%20functions/economic%20studies%20temp/our%20insights/service%20sector%20productivity/mgi\\_service\\_sector\\_productivity\\_report.pdf](https://www.mckinsey.com/~media/mckinsey/business%20functions/economic%20studies%20temp/our%20insights/service%20sector%20productivity/mgi_service_sector_productivity_report.pdf)
26. Mohamed Yahya Alabri. (2018). Entrepreneurial Ecosystem: An Exploration of the Entrepreneurship Model for SMEs in Sultanate of Oman. Figure 2. Overview of countries around the world and their contribution to GDP Sources. <https://www.researchgate.net/profile/Mohamed-Alabri>
27. Sectoral Sources of Productivity Growth. CHAPTER 7. [Global Productivity: Trends, Drivers, and Policies \(worldbank.org\)](https://www.worldbank.org/en/publication/global-productivity-trends-drivers-and-policies)
28. Small and Medium Enterprises (SMEs) Finance. Improving SMEs' access to finance and finding innovative solutions to unlock sources of capital. (2019). The World Bank. <https://www.worldbank.org/en/topic/smefinance>
29. Sorbe, S. et,al. (2018). OECD. Can productivity still grow in service-based economies? Literature overview and preliminary evidence from OECD countries. ECO/WKP(2018)79. [https://one.oecd.org/document/ECO/WKP\(2018\)79/En/pdf](https://one.oecd.org/document/ECO/WKP(2018)79/En/pdf)
30. The crucial role of Micro, Small and Medium Scale Enterprises (MSME's) in Emerging Markets. (2023). Maastricht University. Blogs. [The crucial role of Micro, Small and Medium Scale Enterprises \(MSME's\) in Emerging Markets](https://www.maastrichtuniversity.nl/en/blogs/the-crucial-role-of-micro-small-and-medium-scale-enterprises-msme-s-in-emerging-markets)



31. Vandenberg, P. (2004). Productivity, decent employment and poverty: Conceptual and practical issues related to small enterprises. International Labour Organization. Microsoft Word - WP67-2004.doc (ilo.org)